საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 42 40 21/08/2020

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ვანის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად საპროექტო განაცხადზე „ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მეწარმეების განვითარების ხელშეწყობის მიზნით არტეზიული ჭების მოსაწყობად საბურღი მძიმე ტექნიკის შეძენა“ - თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტის შესაბამისად,
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **გადაწყვიტა:**

1. მოწონებული იქნას ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი, **„ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მეწარმეების განვითარების ხელშეწყობის მიზნით არტეზიული ჭების მოსაწყობად საბურღი მძიმე ტექნიკის შეძენა“** .
2. მიეცეს თანხმობა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერს, ვანის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად იაპონიის საელჩოს **„ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამა – (GGP)“-ში „ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მეწარმეების განვითარების ხელშეწყობის მიზნით არტეზიული ჭების მოსაწყობად საბურღი მძიმე ტექნიკის შეძენა“** , საპროექტო განაცხადის წარსადგენად.
3. პროექტის ღირებულების თანადაფინანსების თანხა გათვალისწინებული იქნას 2021 წლის ბიუჯეტში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე - ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. #11, ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

შალვა მშვილდაძე

საკრებულოს თავმჯდომარე